ამირან შალიკაშვილი

ქართული პანტომიმის ფუძემდებელი, მსახიობი და რეჟისორი ამირან შალიკაშვილი დაიბადა 1939 წლის 22 მარტს უზბეკეთში ქ. კოკანდში მოსამსახურის ოჯახში.

1960 წელს დაამთავრა თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დრამის მსახიობის სპეციალობაზე.

1961 წელს თბილისში ჩამოაყალიბა პანტომიმის ჯგუფი, 1967 წელს სტუდია, ხოლო 1970 წლიდან კი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელი გახდა.

1965-1969 წლებში მუშაობდა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. მონაწილეობდა სპექტაკლებში „სიმღერა თბილისზე“ - ვარლამი, „ბაბაჯანას ქოშები“ - დერვიში, „ჩანიტას კოცნა“ - ვუნდერკინდი, „შეშლილი ძმა“ - ჰაროლდი.

1969-1973 წლებში კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი გახლდათ. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ხსოვნა გულისა“ - კირილ სერგეევიჩი, „ანტიგონე“ - მაცნე, „ქორწინება“ - ჟევაკინი.

ა. შალიკაშვილმა 1975 წელს დააარსა პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, რომლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც თავად გახლდათ.

1978 წელს თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში პანტომიმის ფაკულტეტი ჩამოაყალიბა, ხოლო 1999 წელს კი, ბათუმის სახელმწიფო ხელოვნების ინსტიტუტის პანტომიმის სარეჟისორო და სამსახიობო სახელოსნოს ხელმძღვანელი იყო.

ა. შალიკაშვილს გამოცემული აქვს წიგნები - „პანტომიმა - დუმილის პოეზია“, „მსოფლიო პანტომიმის ხელოვნების ისტორია“, „ცრემლიანი შემოდგომა“. ლექსების კრებული - „დუმილის შემდეგ“ და „ხილვები ფიროსმანზე“.

ა. შალიკაშვილი 1978 წელს საქართველოს კომკავშირის პრემიით დაჯილდოვდა, 1979 წელს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება ხოლო 1981 წელს კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. 1989 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, 1990 წელს კი იგი დაჯილდოვდა პრემიით „საუკეთესო რეჟისორი პლასტიკაში“. 1999 წელს საქართველოს მთავრობამ მას ღირსების ორდენი გადასცა.

ა. შალიკაშვილი 2018 წლის 24 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია მახათას მთის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მეუღლესთან მსახიობ კირა მუბუკესთან ერთად.

ამირან შალიკაშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. თბილისის კალინინის სახელობის რაიკომის მიერ გაცემული ამირან შალიკაშვილის ქების სიგელი ლექტორთა ჯგუფში აქტიურ მუშაობასთან დაკავშირებით.
   1964 წ. 30 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე 1 ც.

2. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გაცემული ა. შალიკაშვილის საპატიო სიგელი მხატვრულ კითხვაში შ. რუსთაველის სახელობის პირველ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
   1966 წ. 19 სექტემბერი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: დ. ჯანელიძე. ბ. ნიკოლაიშვილი. 1 ც.

3. მიმისა და პანტომიმის ექსპერიმენტალური წარმოდგენის ,,ესეც ასე“ მოსაწვევი ბარათი. ნოველების ავტორი და რეჟისორი - ა. შალიკაშვილი. მხატვარი - რ. სოლოღაშვილი.
   1966 წ. 19 ნოემბერი. სტამბური. 1 ც.

4. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით გაცემული ა. შალიკაშვილის საპატიო სიგელი აქტიური შემოქმედებითი მუშაობისთვის.
   1967 წ. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

5. საქართველოს თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული ა. შალიკშვილის დიპლომი 1 ხარისხის ფესტივალში წარმატებით მონაწილეობასთან დაკავშირებით.
   1967 წ. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს - საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე - გ. ძოწენიძე. 1 ც.

6. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გაცემულია ა. შალიკაშვილის საპატიო სიგელი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთვისადმი მიძღვნილი მხატვრული კითხვის კონკრსში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
   1968 წ. 23 სექტემბერი. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს - დ. ანთაძე. 1 ც.

7. ა. შალიკაშვილის საავტორო უფლებების საკავშირო სამმართველოს სარეგისტრაციო ფურცელი.
   1971 წ. 20 სექტემბერი. ავტოგრაფი. სტამბური. კალამი. 2 გვ.

8. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის ა. ყიფიანის მიმართვა საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოსადმი ა. შალიკაშვილის პანტომიმის ,,ოცნების სინამდვილეს“ საავტორო უფლების დამტკიცების შესახებ
1971 წ. 28 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიმართვა საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოსადმი ა. შალიკაშვილის პანტომიმური ნოველების თავის თეატრში დადგმის შესახებ.
1972 წ. 7 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ნ. მამისაშვილი. 1 გვ.

10. ექსპერტ გ. გოგიჩაიშვილის დასკვნა. ა. შალიკაშვილის ლიბრეტოს „ოცნება და სინამდვილე“ საავტორო უფლების დამტკიცების შესახებ.
1972 წ. 2 თებერვალი. თბილისი. ხელნაწერი. სტამბური. მელანი. 2 გვ.

11. საქრთველოს პანტომიმის თეატრის მოსკოვში გასტროლების სარეკლამო ფურცელი. ხელმძღვანელი- ა. შალიკაშვილი
1973 წ. 8 დეკემბერი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

12. საკონცერტო-თეატრალური დეკადის პროგრამა. სოჭის სახელმწიფო ფილარმონია. მონაწილეობდა თბილისის პანტომიმის თეატრი.
1973 წ. 1-10 აგვისტო. სოჭი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

13. ა. შალიკაშვილის განცხადება საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოსადმი, ა. შალიკაშვილის „გაათავისუფლეთ სიმღერა“ რეგისტრაციის შესახებ.
1974 წ. 25 ნოემბერი. ავტოგრაფი. სტამბური. კალამი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

14. საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული ა. შალიკაშვილის ინსცენირების მიხედვით პანტომიმა ევრიპიდეს „ელექტრას“ რეგისტრაციის შესახებ.
1974 წ. 25 ნოემბერი. ავტოგრაფი. სტამბური. კალამი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

15. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაცემული ა. შალიკაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობარი.
1988 წ. 10 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ერთვის ფოტო. კალამი. 4 გვ.

16. ა. შალიკაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ბიოგრაფია.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

17. აჭარის კულტურის სახლის დირექციის მიერ გაცემული ა. შალიკაშვილის სამსახურეობრივი დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

18. პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დაარსების მოკლე ისტორია.
    უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

19. პანტომიმის სახელმწიფო თეატრის საფესტივალო და საგასტროლო მოგზაურობის ჩამონათვალი.
    უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

20. პანტომიმის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარი (1965 წ. 13/5 – 2008 წ. 13/5)
    უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.